შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„მაშველი 2007“

საქართველო. თბილისი. გურამიშვილის გამზ. №21
ტელ: 243 22 70 595 35 39 35 577 26 30 02

№ 25 „19“ 07 2018წ.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ რომან კაკულიას

ბატონო რომან,

გაცნობებთ, რომ საქართველოში ფუნქციონირებს მიწისქვეშა საფრთხე სამიში ობიექტები: „ტყიბულნახშირის“ შახტები, „ჭიათურმანგანუმის“ მაღაროები, თბილისის „მეტროპოლიტენი“, მიწისქვეშა ჰესები: „ენგურჰესი“, „ლაჯანურჰესი“, „ხრამჰესი II“, „ჟინვალჰესი“, „ფარავანჰესი“, „დარიალჰესი“.

უმოკლეს მომავალში მოსალოდნელია: „მტკვარჰესის“, „ნენსკრაჰესის“, „ნამახვანჰესის“, „ხუდონჰესის“, „ალპანჰესის“ მშენებლობები.

საქართველოში არც ერთი მშენებარე თუ ექსპლუატაციაში მყოფი მიწისქვეშა ობიექტი საქართველოს კანონის „წიაღის შესახებ“, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად არ უნდა აწარმოებდეს სამუშაოებს უწყებრივი ან მოწვეული სპეციალიზებული სამთო-სამაშველო სამსახურის მომსახურების გარეშე. სამაშველო სამსახურის გამართულმა მუშაობამ უნდა უზრუნველყოს მიწისქვეშა გვირაბებში როგორც მომსახურე პერსონალის, ასევე მთლიანად ობიექტის უსაფრთხოება.

მოგახსენებთ, რომ სპეციალიზირებული სამთო-სამაშველო სამსახურის ძირითადი მოვალეობაა მიწისქვეშა ობიექტებზე მომხდარი ავარიების (ხანძარი, აფეთქება, ჩამონგრევა, დატბორვა, დაგაზიანება და სხვა) დროს ხალხის გადარჩენა და ავარიის სწრაფი ლიკვიდაცია. სამთო-სამაშველო სტრუქტურების პირადი შემადგენლობა უნდა შედგებოდეს მიწისქვეშა გამონამუშევრებში სპეციალურად მომზადებული პერსონალისაგან (მებრძოლი და მეთაურები), რომლებიც აღჭურვილნი უნდა იყვნენ მაიზოლირებელი ჟანგბადის რესპირატორებით, თვითმაშველებით, ჰაერის შემადგენლობის განმსაზღვრელი საჭირო მოწყობილობით, ხელსაწყოებით, სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტით, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ინვენტარით და საშუალებებით, აირანალიზური ლაბორატორიით, სპეციალური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და სხვა.

მიწისქვეშა ობიექტების ხელმძღვანელობას მრავალჯერ მივმართეთ თხოვნით, რათა არსებული (მოქმედი) უწყებრივი ან მოწვეული სამთო-სამაშველო სამსახურები აღეჭურვათ ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული აღჭურვილობით, მასალითა და ინვენტარით, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება. იმიზეზებენ რა უსახსრობას, მათ აინტერესებთ მხოლოდ მოგება და მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ მიწისქვეშ მომუშავე ადამიანთა ბედი. შედეგიც არ აყოვნებს, ადამიანთა მსხვერპლი თანდათანობით იზრდება. ამრიგად, მოქმედი და მშენებარე მიწისქვეშა ობიექტების ხელმძღვანელობა უხეშად არღვევს საქართველოს კანონს „წიაღის შესახებ“ მოთხოვნებს და არ სარგებლობს სპეციალიზებული სამთო-სამაშველო სამსახურის მომსახურებით.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 11132
„19“ 07 2018 წ. ფურცლ. 2

დაინტერესებულმა მხარეებმა (საქართველოს თუ უცხოეთის კომპანიებმა) უნდა გაატარონ საჭირო ღონისძიებები, რათა დაიცვან მიწისქვეშა გვირაბებში მომუშავე ადამიანთა უსაფრთხოება. ამასთან, თავიდან უნდა იქნეს აცილებული მოსალოდნელი ავარიებით და უბედური შემთხვევებით გამოწვეული ზარალი, რომელიც მიმაჩნია, რომ მკვეთრად აღემატება იმ ხარჯებს, რაც საჭიროა უსაფრთხოების სამსახურის შესაქმნელად და მის შესანახად.

მიუხედავად ჩვენი მრავალგზის თხოვნისა და ოფიციალური მიმართვისა, ბოლო 10 (ათი) წლის მანძილზე არ მომხდარა მიწისქვეშა ობიექტებზე უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება შესაბამისი ორგანოების მიერ, აუცილებელად მიგვაჩნია შემოწმებული იქნეს ყველა მიწისქვეშა ობიექტები: ,,ტყიბულნახშირის" შახტები, ,,ჭიათურმანგანუმის" მაღაროები, ,,ენგურჰესი", ,,ლაჯანურჰესი", ,,ხრამჰესი II", ,,ჟინვალჰესი", ,,დარიალჰესი" და ფარავანჰესი".

უახლოეს პერიოდში კვლავ მივმართეთ ,,ფარავანჰესისა" და ,,დარიალჰესის" ხელმძღვანელობას, რათა მათ ემსახურებოდეს უწყებრივი ან მოწვეული სამაშველო სტრუქტურები. შესაბამისი სპეციალიზებული სამაშველო აღჭურვილობითა და ტექნიკით. მიუხედავად ამისა, მათ მიერ იგნორირებულია უსაფრთხოების წესები და მოთხოვნილებები. მიგავჩნია, რომ ყველა მიწისქვეშა საშიში საწარმოო ობიექტების ხელმძღვანელობა, რომლიც არ შეასრულებს უსაფრთხოების მოთხოვნებს, მათ მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ობიექტების საკუთრების და დაქვემდებარების მიუხედავად. ყველამ პატივი უნდა სცეს საქართველოს კანონმდებლობას და იზრუნონ მათი განუხრელი შესრულებისათვის.

ბატონო რომან,

მოკლედ ,,ტყიბულნახშირის" უსაფრთხოების წესების დარღვევის შესახებ:

შახტებში უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგი ბოლო პერიოდში მომხდარი ადამიანთა მსხვერპლი და ზარალი. მიგვაჩნია, რომ ამ ობიექტზე დაუყოვნებლივ მოხდეს:

1. შემოწმდეს ვარგისიანობა ინტერფერომეტრების, რითაც ხდება მეთანის გაზის გაზომვა, შემოწმებულია თუ არა ტარირებაზე ყოველ 3 თვეში ინტერფერომეტრები;
2. განიავების საკითხის გამოკვლევა, ჰაერის რაოდენობის განსაზღვრა, გაზომვა და ა.შ;
3. კვალიფიკაცია და ცოდნა ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის, გამოცდების ჩატარება;
4. ხემძღვანელობა დაკომპლექტდეს გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

ბატონო რომან,

ვითვალისწინებთ რა, ქვეყნისთვის ესოდენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიწისქვეშა ობიექტების ფუნქციონირებას და მშენებარე ობიექტების უსაფრთხოდ მუშაობის აუცილებლობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის აღსრულების მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, დაევალოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მეცნიერების და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით შექმნას კომისია, რომელიც შეისწავლის ზემოაღნიშნულ პრობლემებს და მდგომარეობის კარდინალურად გამოსწორების მიზნით გასცემს შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციებს.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას აღნიშნული საკითხის დროულად მოსაგვარებლად, რომ თავიდან იქნას აცილებული ადამიანთა მსხვერპლი და მოსალოდნელი კატასტროფით გამოწვეული მატერიალური ზარალი.

პატივისცემით,
შპს ,,მაშველი-2007"-ის დირექტორი,
ექსპერტი სამთო-სამაშველო სამუშაოების
განხორციელების, ნორმატიული, მეთოდური და
ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში: /ალექსანდრე კახიძე/

ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. #21
595 35 39 35; 577 26 30 02